

წერილი მართლმადიდებელ სერბ ხალხს!

ქრისტესმიერო საყვარელო ძმებო და დებო,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალრიცხოვან წევრთა – სასულიერო და საერო პირთა – სახელით გწერთ წერილს და დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ ალბანელი სეპარატისტების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოაცხადებასთან დაკავშირებით. ჩვენ თქვენთან ერთად განვიცდით ამ უბედურებას და ვაფასებთ ამ ფაქტს, როგორც მსოფლიო შეთქმულებას მართლმადიდებელი სერბი ხალხის წინააღმდეგ.

ანტიქრისტეში გლობალიზების მოსურნე მსოფლიო ძალები შეითქმნენ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ და ყველანაირი საშუალებებით ცდილობენ, მართლმადიდებლურ სახელმწიფოებში გააღვივონ სეპარატიზმის ცეცხლი, ამ სახელმწიფოების დაქუცმაცების, მართლმადიდებლობის დასუსტებისა და მართლმადიდებელი ხალხების სულიერი სიმტკიცის გატეხვის მიზნით. მაგრამ სწორედ ასეთ დროს შეგვეწვიან ჩვენი წმინდა მამები თავისი დარიგებებით, სწორედ ასეთი დრო-ჟამისათვის გემოდღვრავს ჩვენ დიდი წმიდა მამა, ნიკოლოზ სერბი (ველიმროვიჩი): „ჩვენს დროში კიდევ რომ აღეძრა ჯოჯოხეთს მთელი თავისი მხედრობა ქრისტეს წინააღმდეგ, ჭეშმარიტი ქრისტიანები ვალდებულნი არიან უშიშრად იცქირონ პირდაპირ, მტკიცე რწმენითა და სასოებით ერთიანისა და დაუმარცხებელისა“; „სექტანტებმა საკუთარი აგენტები ბალკანეთში გამოგზავნეს, რათა თავიანთი წყეული ფულებითა და უფასო წიგნებით იყიდონ ჩვენი სულები. ჩვენ თურქებს არ მივეყიდეთ და ნუთუ ამერიკელ მედუქნეებს მივეყიდებით? სალაფავისთვის რწმენის გაყიდვა ჩვენს წეს-ჩვეულებებში არ არის“.

დღეს ჩვენ ვხედავთ ახალი ფორმის ფაშიზმის აღორძინებას: ესაა ანტიქრისტეს მიმდევართა ფაშიზმი. ეს ძალები ევროპაში, კერძოდ, ბალკანეთში აგრძელებენ ჰიტლერის პოლიტიკას, ჰიტლერისა, რომელიც, მიიჩნევდა რა სერბებს თავის მედგარ მოწინააღმდეგედ და შეიძინა რა ხორვატები სანდო მოკავშირედ, პირადად უბრაძანებს თავის აღმოსავლეთის ფრონტის მეთაურს, დააუძღუროს სერბი ერი: „განადგურდეს ინტელიგენცია, უმეთაუროდ დატოვოს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მათ შორის პირველ რიგში გაანეიტრალოს: პატრიარქი დოჟიჩი, მიტროპოლიტი ზიმონიჩი და ჯიჩელი ეპისკოპოსი ნიკოლოზ ველიმროვიჩი“.

მაგრამ ჩვენ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ დაუშვა ღმერთმა ასეთი უბედურება ჩვენს თავზე. მოუხსმინოთ ჩვენი დროის დიდ მამას, წმ. იუსტინე პოპოვიჩს: „За Европой пошла Христова Сербия, ступила на скользкие пути ее и разбилась вместе с ней. Если б только сербский народ, пять веков сгоравший в огне страданий, чтобы сладок был хлеб Господу его, ходил путями своих святых предков, путями Господними! Господь был бы с ним и оградил бы от всех безбожных врагов его, он жил бы благополучно и счастливо под сенью крыльев Господних.“

Но Европа пошла за ложными мыслями своих философов и скатилась под гору за обманчивыми желаниями своего сердца. Такая Европа стала для Сербии милее воскресшего Христа, чей крест она носит на гербе и знамени своем века и столетия. И разбилась Европа, как глиняный горшок о камень, и потекла кровь из ран сынов сербских, как у тех, что скатываются по острым камням осыпавшихся под собственной тяжестью скал.

Дорого заплатили мы за эту науку. Будущее покажет, будет ли она нам полезна. Господи Боже, как сурово Ты ранил нас. Помилуй нас! Дай нам мудрости и сил воспользоваться дорого купленным опытом. И не оставь нас, Господи Боже наш, и не отступись от нас. Слава Тебе и хвала на веки веков. Аминь“.

ძვირფასო ქრისტესმიერო ძმებო და დებო, ჩვენთვის ცნობილია ის ტკივილი, რასაც ქვეყნის ძირძველი და ისტორიული მხარეების წართმევა-ჩამოშორება ჰქვია. სულ რაღაც 15-ოდე წლის წინ ინსპირირებული სეპარატიზმის შედეგად ჩვენი ქვეყნის იურისდიქციიდან გავიდა ისტორიული სამახაბლო (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) და აბხაზეთი. საუკუნენახევრის წინ კი – ტაო-კლარჯეთი, მხარე, რომელიც საქართველოსთვის იგივე

ისტორიისა და მისიის მატარებელია, რაც სერბეთისათვის კოსოვო. შინაგამცემნი და მოღალატეები არც ჩვენ გვაკლდა, დიდმოწამე ლაზარე სერბელის მსგავსად ჩვენი დიდი წინაპარი წმ. შალვა ახალციხელიც შეატოვეს პირის-პირ გამძვინვარებულ მტერს, არც „მოძმე“ ქვეყნებისგან არის ჩვენთვის უცხო დალატი: როგორც სერბეთი დარჩა „ნატოს“ ჯარებთან პირისპირ ქმედითი დახმარების გარეშე, ასე დაგვტოვა ჩვენც რუსი გენერლის, ტოტლებენის ჯარმა თურქებთან პირისპირ დახმარების გარეშე.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროშიც ჩვენს თანამემამულეებს შორის ამდენი გამცემი „იუდა“ მოიძებნა, რომლებიც ამერიკელი მედუქნეებისა და ღმერთდაკარგული ევროპელების ფულით მიწიერ კეთილდღეობას გვპირდებიან და აცდუნებს ჩვენს მოქალაქეებს. მაგრამ წმ. ნიკოლოზ სერბი გვაიმედებს, როდესაც გვეუბნება: „განა შეარყევენ ხალხის რწმენას ფუჭი დაპირებები მიწაზე ზოოლოგიური სამოთხის შესახებ?! დაპირებანი იმ უბედურთა, რომელნიც საკუთარი ხალხის უდიდეს სულს მოწყვეტილნი გაემგზავრნენ დასავლეთში უსულოთაგან სული რომ ეყიდათ? მათ იგი იყიდეს, ოღონდ – კედარი. ნუთუ ცოცხლები შეუშინდებიან მკვდარს? რა თქმა უნდა არა“.

ჩვენ გვამრთებს დიდი სინანული ჩვენი ცოდვების გამო და დიდი შემართება, რათა დავიცვათ ჩვენი სიქადული, მართლმადიდებლობა და ჩვენი ქვეყანა ქრისტეს მტრებისაგან. ჩვენი წმინდა წინაპარი, წმ. მეფე დავით აღმაშენებელი ასე მოგვიწოდებს: „კჳა, მეომარო ქრისტესნო, ...“.

ვლოცულობთ თქვენთვის, თქვენი ქვეყნისთვის და გმირი სერბი ხალხისთვის. თქვენზე, მართლმადიდებელ სერბებზე, ზედმიწევნით ასრულდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს სიტყვები: „უკეთუ სოფელი გპულობს თქვენ, უწყოდეთ, რამეთუ პირველად მე მომიძულა; უკეთუ მცა სოფლისაგანნი იყვენით, სოფელიმცა თვისთა ჰყუარობდა; რამეთუ არა სოფლისაგანნი ხართ თქვენ, არამედ მე გამოგიჩიე თქვენ სოფლისაგან, ამისთვის სძულთ თქვენ სოფელსა“. – (იოან. 15, 18-19).

მიუხედავად დიდი განსაცდელისა, ჩვენო სულიერო ძმებო და დებო – მართლმადიდებლო სერბებო, თქვენ არ უნდა მიეცეთ სასოწარკვეთას. ჩვენ კი შევეცდებით გაგამხნევოთ წმინდა და მართალი იოანე კრონშტადტელ საკვირველმოქმედის (1908წ.) მანუგეშებელი ცეცხლოვანი სიტყვებით: „ნუ გეშინინ და ნუ ძრწოთ, ძმანო, დაე, მუამბოხე სატანისტები წუთიერ განცხრნენ თავისი ჯოჯოხეთური წარმატებებით: ღმრთისგან მათი *”სასჯელი არა დაცხრების და წარსაწყმედელსა მათსა არა ჰრულის”* – (2 პეტ. 2,3). მარჯვენა უფლისა ჰპოვებს ჩვენს მოძულეს ყველას და შურს იძიებს ჩვენთვის სიმართლით! *”ჩემი არს შურის-გებაი და მე მივაგო, იტყვის უფალი”* – (ებრ. 10,30). ამისთვის ნუ მოვეცემით უსასოობას მსოფლიოში აწ რაც ხდება იმის შემხედვარე“.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

P.S.

ანტიქრისტეს სტანდარტებით მეტყველი მსოფლიო პროპაგანდისტული მანქანა თესავს ღვარძლსა და სიცრუეს და ცდილობს სერბი ხალხი მოძალადეებად და ქსტრემისტებად წარმოაჩინოს. ამ საკითხს, ნაწილობრივ, შევეხეთ ჩვენს ბროშურაში „ქართული იდეა“ (იხილეთ ჩვენს საიტზე). ომში, რა თქმა უნდა, გადაცდომები არ არის გამორიცხული. ამ საზომით ქართველებსაც ჰქონდათ გადაცდომები აფხაზეთის ომში, მაგრამ თავისი შინაარსით ეს ომი ხომ იყო თავსმობხეველი ომი (შიანური და გერე) მტრებისაგან საქართველოს წინააღმდეგ, მისი დაქუცმაცების მიზნით. რაც შეეხება სერბებს, გთავაზობთ წერილს სერბი გენერლის, რატკო მლადიჩის შესახებ, რომელსაც ქრისტესმოდულე მსოფლიო დაექებს, როგორც დამნაშავეს, და, მაღლობა ღმერთს, რომ ვერ პოულობს. ბარაქალა სერბ ხალხს, რომელიც იფარავს რატკოსა და მისნაირ პატრიოტებს. ქართველებმა მაგალითი უნდა ავიღოთ მათგან. ღოცეთ რადკოსათვის!

# სერბეთის გმირი გენერალი რატკო მლადიჩი



1991 წელს იუგოსლავიის ნაციონალური არმიის „ენინის“ კორპუსმა, რიგი შეტევების შემდეგ დამანგრეველი მარცხი მიაყენა ხორვატ-კათოლიკეებს, რითაც გენოციდისგან იხსნა „სერბსკაია კრაინა“-ს მოსახლეობა. კორპუსს ხელმძღვანელობდა სერბი ერის გმირი, გენერალი **რატკო მლადიჩი**. არმიას შეეძლო კონტროლი დაემყარებინა „დალმაციის“ ყველა დიდ საპორტო ქალაქზე, მაგრამ ჯარების წინსვლა ბელგრადში მოკალათებული პოლიტიკოსების მეშვეობით შეაჩერეს. ერთი წლის შემდეგ კი სერბებს უკვე ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში დაემუქრა გენოციდი, რის გამოც გენერალი მლადიჩი ერთ ღამეში ახერხებს იუგოსლავიის დაშლის შედეგად დანაწევრებული ერთიანი არმიის ნარჩენების მობილიზებას. მობილიზებას ჯარებისა, რომელიც ყველგან საქმით ამტკიცებდა თავისი გენერლის სიტყვებს: „ვერავენ შეძლებს ჩვენს დამარცხებას!“. ერში ასეთი სიმტკიცის და თავდადების აღძვრა მხოლოდ უსაზღვრო ნდობით აღჭურვილ მეთაურს თუ შეეძლო, რომლის ბრწყინვალე მხედართმთავრული შესაძლებლობები გამშვენებული იყო ქრისტეს რწმენით, სიმამაცით და მაღალი ზნეობით. მლადიჩს უკანმიუხედავად მიჰყვებოდნენ ბრძოლაში, ის ხომ მსგავსად თავისი გმირი წინაპრებისა არასოდეს იძლეოდა ბრძანებას: „წინ - შეტევაზე!“, არამედ, მხოლოდ - „მომყევით!“ ბრძოლაში იგი ყოველთვის ცდილობდა საკუთარ ხელქვეითებზე წინ მდგარიყო. იბრძოდა უბრალო ჯარისკაცების გვერდით. მათთან ერთად უწევდა ალყის გარღვევა. თვითონაც იყო დაჭრილი და ისეც ხდებოდა, რომ დაჭრილი თანამებრძოლები ჩაკვდომია ხელებში. „სერბული კრაინა“-ს დაცვისას მან მარტომ განაიარაღა ხორვატების მიერ ასაფეთქებელი მასალებით დატვირთული ავტობუსი. როცა ჯარებს რატკო მლადიჩი მეთაურობდა, „მმართველი ელიტის“ განზრახვა სერბებისათვის „ჭკუა ესწავლებინათ“ განუხორციელებელი რჩებოდა. სწორედ ამიტომ ააგორეს კონტროლირებადმა მსოფლიო საინფორმაციო საშუალებებმა მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია.

მსოფლიო პოლიტიკის უახლესი მაგალითები ნათელს ჰფენენ, თუ როგორია „**ახალი მსოფლიო წესრიგის**“ დამყარების გზები. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია ინსპირირებული და პროვოცირებული კონფლიქტების მართვის მეთოდები. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი და კონფლიქტოლოგი ენტონ სატტონი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში – „როგორ ახდენს მასონური ორდენი ომებისა და რევოლუციების ორგანიზებას“ წერს: „**მართვადი კონფლიქტების გარეშე ახალი**

მსოფლიო წესრიგი არ დამყარდება; ცალკეული პირების შემთხვევითი ქმედებანი საზოგადოებაში სასურველ სინთეზს ვერ გამოიწვევს. ეს სინთეზი დაპროგრამებულია, იგი უნდა შეიქმნას; და მას ქმნიან მართვადი, გამოწვლილვით გათვლილ-გაანგარიშებული კონფლიქტის მეშვეობით. აი, რატომ ეხმარებოდნენ საერთაშორისო ბანკირები უოლტ-სტრიტიდან ერთდროულად გერმანელ ნაცისტებსა და საბჭოთა კავშირს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას – აშშ-ის უბოროტეს მტრებს“.

თავისსავე ინსპირირებულ კრიზისში ”გლობალიზაციის“ შემოქმედებმა სერბი ერი დაადანაშაულეს და დღესაც ქმნიან ათასგვარ მითებს ბოსნიასა და კოსოვოში სერბების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე. ამით ისინი ცდილობენ ყურადღება გადაიტანონ და მსოფლიოს დაავიწყონ ხეროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედია, ბუხენვალდსა და იასენოვცეში ჩადენილი დანაშაულებები, სადაც 700 000 სერბი იქნა განადგურებული. ცდილობენ გაამართლონ ის ვანდალიზმი, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს ჩაიდინეს, როდესაც შუაგულ ევროპაში, დღისით-მზისით ბომბავდნენ არა მარტო მართლმადიდებელ სერბთა საბრძოლო პოზიციებს, არამედ მშვიდობიან, უმწეო მოსახლეობასაც. ყველას კარგად გვახსოვს ბელგრადი ყველაზე ინტენსიურად აღდგომასა და შობას (მართლმადიდებლური კალენდრით) რომ იბომბებოდა. მაშინ CNN და BBC საქვეყნოდ და ურცხვად გადმოსცემდნენ, როგორ იტვირთებოდა NATO-ს თვითმფრინავებში ბომბები წარწერით: „**გისურვებთ ბედნიერ აღდგომას**“ – (Happy Easter). დღეს კი, ისლამურ ერაყთან მებრძოლი „ქრისტიანული“ დასავლეთი, ბოსნიელ მუსლიმთა სასარგებლოდ ხელს უწყობს ეკლესია-მონასტრების გადაწვას და მართლმადიდებელი მოსახლეობის ეთნიკურ გენოციდს კოსოვოში.

სერბი მეომრების საფლავები, საკუთარი ეთნიკური სივრცის გარეთ უბრალოდ არ არსებობს! ბალკანეთში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებებისას, როგორც მრავალი საუკუნეების განმავლობაში, ასევე მე-XX საუკუნის 90-იან წლებში, სერბები, იცავდნენ რა საკუთარ მიწა-წყალს და სარწმუნოებას, ეწეოდნენ მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის ომებს. გამოდის, რომ მლადინის მთელი „ბრალი“ მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ის იბრძოდა ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის, საკუთარი ერის ღირსებისა და თავისუფლებისათვის. „ჩვენ, სერბები – ამბობდა იგი – შეიძლება არავისზე უკეთესი არ ვიყოთ, მაგრამ არც არავისზე უარესი ვართ. ჩვენ – ჩოგბურთის ბურთი არ ვართ, ბადის ხან იქით და ხან აქეთ რომ გადაგვისროლონ, ისე, როგორც ეს ვიდაცას მოუხდება. ჩვენ არ გვინდა დავემსგავსოთ რეზერვაციაში მცხოვრებ რომელიღაც ამაზონურ ტომს, მხახველები რომ მიშტერებიან, როგორც იშვიათ ცხოველებს. ისლამს სწყურია ევროპაში შეჭრა და დასავლეთი იბულებული იქნება დააკვირდეს, როგორ იზრდება ის, როგორც სოკო ნაწვიმარზე, - წინასწარმეტყველურად აფრთხილებდა სერბი გენერალი თავის მოწინააღმდეგეებს. - მე სინდისის ქვეშა დამტანჯავდა უცხო მიწაზე რომ მეომა, სხვის ქვეყანაში, უცხო ერის ოკუპაცია რომ მომეხდინა. ომის მთელი პერიოდის განმავლობაში მე ვიცავდი ჩვენს ხალხს საკუთარ – სერბულ მიწაზე. ეს იყო ჩემი მოვალეობა და უდიდესი პატივი. ამიტომაც ვარ მე ოფიცერი, რომ ვემსახურო ჩემს ხალხს მისთვის მძიმე წუთებში“.

დაიბადა რატკო მლადინი 1943 წლის 12 მარტს სოფელ ბოჟინოვიჩში (ბოსნია – ჰერცეგოვინა). რადკოს ჯერ კიდევ 2 წელი არ შესრულებოდა, როდესაც ფაშისტმა-უსტაშებმა მამა მოუკლეს. ერთხელ, ბოსნიის ომის დროს, მლადინმა ჰკითხა გაეროს ძალების შემადგენლობაში მყოფ შვედ გენერალს ვოლგრენს: „**ბატონო გენერალო, გახსოვთ თუ არა თქვენ საკუთარი მამა?**“

- „**დიახ**“, - უპასუხა შვედმა.
- „**თქვენი შვილიც გიცნობთ, და იცის კი მან თავისი პაპა?**“
- „**იცის**“, - დაეთანხმა ვოლგრენი.
- „**აი ხედავთ! ჩემი შვილი კი პირველია მთელი ოჯახიდან, რომელმაც საკუთარი მამა იცის!**“

სერბი ხალხი ძალზედ დაზარალდა იმ გენოციდის შედეგად, რომელიც განიცადა, როგორც ორი მსოფლიო ომის, ასევე 90-იანი წლების დაპირისპირებისას. მე-XX საუკუნეში, სერბეთმა მხოლოდ მოკლულების სახით დაკარგა ორ მილიონზე მეტი ადამიანი. ეს აუნაზღაურებელ დანაკარგს წარმოადგენს პატარა ერისთვის.

მლადინი ყველაზე ხმაძალდა აცხადებდა მზადყოფნას შეტაკებების შეწყვეტისა და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის. „**ნუ გამოიყენებთ ძალას სუსტების წინააღმდეგ**“ – ასე აფრთხილებდა იგი თავისიანებს. ის თვითონ მოინახულებდა ხოლმე ტყვედ აყვანილ მტრის ჯარისკაცებს და ზრუნავდა იმაზე, რომ მათ ღირსეულად მოპყრობოდნენ. არასოდეს იძიებდა ხოლმე შურს ხორვატებზე და მუსულმანებზე და თავის მებრძოლებსაც იგივეს მოუწოდებდა: „**გახსოვდეთ, ჩვენ ვაწარმოებთ ომს**

**ფამისტ-უსტამების და მათი უცხოელი მფარველების წინააღმდეგ**“. მლადიჩი მკაცრად უკრძალავდა თავის ჯარისკაცებს ე.წ. მოროდორობას. როდესაც სერბები ათავისუფლებდნენ მუსულმანთა კონტროლის ქვეშ მყოფ ქალაქ „გორაჟდეს“, ორ მებრძოლს, რომლებმაც დაარღვიეს აკრძალვა და თვალში მოხვდნენ მლადიჩს, კარგი დღე არ დაადგათ. გენერლის ბრძანება იყო მოკლე: „**მოსცხეთ თითოეულს 45 შოლტი უკანალზე! ამის მერე მათ სხვის ხარჯზე ხელის მოთბობის ყველანაირი სურვილი გაუქრებათ**“. ნიჭიერი მხედართმთავარი მლადიჩი, საბრძოლო სტრატეგიის განსაზღვრისას უპირატესობას ყოველთვის შემტევ მოქმედებებს ანიჭებდა. რომ არა პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები, მლადიჩი არასოდეს გასცემდა უკან დახევის ბრძანებას, რომლითაც თითქოსდა შესაძლებელი იყო ბელგრადის გადარჩენა **NATO-ს** ავიადარტყმებისაგან: „**უკან იხევს ის არმია, რომელმაც მარცხი განიცადა. სერბი მეომრები კი არასოდეს დამარცხებულან**“ – უშედეგოდ ირწმუნებოდა გმირი გენერალი.

მლადიჩის საბრძოლო ნიჭის არ აღიარება მტრებმაც კი ვერ შეძლეს, ხოლო სამხედრო საქმეში მისი კოლეგებისათვის ის მხედართმთავრობის ნიმუშად იქცა მთელს მსოფლიოში. იუგოსლავიაში სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე მლადიჩის სახელი შეტანილ იქნა საბრძოლო ხელოვნების შესახებ გამოცემულ ყველა უახლეს ენციკლოპედიებში, ხოლო მისი საბრძოლო გამოცდილება ისწავლება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამხედრო აკადემიაში. ერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა ჰკითხა მლადიჩს:

- „**ბრძოლებში რის ხარჯზე იმარჯვებთ ხოლმე?**“
- „**მიუხედავად იმისა, რას წერენ, მე არასოდეს განვიცდი ზიზღს ჩემი მოწინააღმდეგეების მიმართ. სწორედ ამიტომ ვიმარჯვებ**“, – უპასუხა მართლმადიდებელმა გენერალმა.

90-იან წლებში სერბებმა ყველა მნიშვნელოვან ბრძოლებში მოიპოვეს გამარჯვება. არადა ბოსნიელი სერბების პატარა არმიის წინააღმდეგ ომობდა „**გაერო**“-ს „ციისფერ კასკეტში“ კომპოზირებული **NATO-ს** ავიაცია, ჯარები და მრავალრიცხოვანი „**მოჯახელები**“, ასევე მსოფლიო კონტროლირებადი მასმედია, მათ შორის რუსულიც. ვინმე გვარად გოლცმა, რუსულ ჟურნალში „**ИТОГИ**“, ცილი დასწამა სერბებს თითქოს ისინი „**ცოცხალ ფარად**“ იყენებდნენ რუს სამშვიდობოებს ბოსნიაში. სინამდვილეში „**ცოცხალი ფარის**“ როლი დაკისრებული ჰქონდა არა რუს, არამედ დასავლელ „**სამშვიდობოთა**“ წარმომადგენლებს და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც **NATO-ს** ავიაციამ სარაკეტო დარტყმები მიაყენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სერბების არა მხოლოდ საბრძოლო პოზიციებს, არამედ მშვიდობიან და დაუცველ მოსახლეობასაც.

1941 წლის აპრილში, ბელგრადის სასტიკი დაბომბვის შემდეგ გიტლერმა გაუძლო ორდღიან პაუზას, რითაც მოსახლეობას დალუპულთა ქრისტიანული წესით დამარხვის უფლება მისცა. ნახევარი საუკუნის შემდეგ კი, ტოლერანტობის და ადამიანის უფლებების დაცვის მეხოტბე დასავლეთმა ამის საშუალებაც კი მოუსპო სერბებს. უფრო მეტიც, აშშ-ს თვითმფრინავებმა გაანადგურეს სასწრაფო დახმარების მანქანა, მედპერსონალთან ერთად, რომელიც მიდიოდა ავიადარტყმების შედეგად დაჭრილთა და დაშავებულთა დასახმარებლად. დალუპულთა დასაფლავების დროს კი დაბომბეს სასაფლაო და ეკლესია, სადაც მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა და ჭირისუფლები იყვნენ შეკრებილნი.

მლადიჩს კარგად ესმოდა ვისთან ჰქონდა საქმე, როდესაც დიპლომატიის როლში უწევდა ყოფნა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1991 წლის საომარი მოქმედებებისას, დაღმაციაში, იგი აწარმოებდა მოლაპარაკებას ევროპულ შუამავლებთან 164 ოფიცერისა და ჯარისკაცის ბედის გამო, რომლებიც ხორვატების მიერ ბუნკერში იყვნენ ბლოკირებულნი. ხორვატებს მათთვის საკვების მიწოდების გზები ჰქონდათ გადაკეტილი. შუამავლები კი სპეციალურად აჭიანურებდნენ მოლაპარაკებას, არადა საუბარი ეხებოდა მრავალი დღის განმავლობაში ულუკმაპუროდ დარჩენილ ადამიანთა საკვებით უზრუნველყოფას. მლადიჩს მოსწყინდა თავისი ოპონენტების თვალთმაქცობის ყურება და გერმანელ შუამავალ ველმანს პირდაპირ განუცხადა: „**მისმინეთ შვაბ! მე თქვენ აქვე დაგზვრიტავთ, თუ ათი წუთის განმავლობაში ჩემი ძმებისთვის ნორმალური საკვების მიწოდებას არ გაუკეთებთ ორგანიზებას!**“ გენერალს გამეორება აღარ დასჭირვებია. ველმანმა ყველაფერი გააკეთა რაც მას მოეთხოვებოდა. 1994 წელს, როდესაც გერმანელ მოსწავლეთა ანკეტების შეჯამება მოხდა, ანკეტების შევსების ორგანიზატორები შოკმა მოიცვა. კითხვაზე „**ვინ გინდა იყო ნაციონალიზმით?**“ მრავალმა გამოკითხულმა გერმანელმა მოსწავლემ უპასუხა: „**მე მინდა ვიყო სერბი**“, მოტივირებდნენ ამას იმით, რომ „**მთელი მსოფლიო ომობს სერბების წინააღმდეგ და მაინც ვერავინ ვერაფერი უყო მათ**“.

სამწუხაროდ, სერბების მიერ ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებები, მოპარული იქნა გლობალიზაციის "შემოქმედთა" მიერ, რუსეთის პოლიტიკური ისტაბლიშმენტის ჩუმი თანხმობით. რაც ერთმორწმუნე ერების მიმართ რუსული მოლაპატეობრივი პოლიტიკის კიდევ ერთი დადასტურებაა. (უნებლიედ ტოტლებენის საქციელი გაგახსენდება კაცს). ბოსნიელი სერბების პოლიტიკური ლიდერი რადოვან კარაჯიჩი და მათი სამხედრო ლიდერი რატკო მლადიჩი გამოცხადებულნი არიან სამხედრო დამნაშავეებად და იმყოფებიან საერთაშორისო ძებნაში. მათ გასაცემად დაწესებულია მრავალმილიონიანი ჯილდო, მაგრამ ღვთის მადლით სერბებს შორის იუდა არ მოიძებნა.